სს „მიკრობანკი ემბისის“ მიმართ ფულადი ჯარიმის დაკისრების თაობაზე

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიკრობანკი - სს „მიკრობანკი ემბისი“ (ს/ნ 404967078, ლიცენზიის ნომერი №472) - საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №123/04 ბრძანებით დამტკიცებული „მიკრობანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის“ მე-2 მუხლის მე-9 პუნქტის „ა“-„ბ“ და მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე ჯამურად 20,000 (ოცი ათასი) ლარით დააჯარიმა. აღნიშნული ჯარიმა მოიცავს ანგარიშგების დადგენილი ან/და შემუშავებული ფორმით წარუდგენლობას (მათ შორის, არაზუსტი, არასწორი ინფორმაციის წარდგენა), პილარ 3-ის ფარგლებში წლიური ანგარიშგებისა და წლიური ზოგადი ფინანსური ანგარიშგების, აუდიტორის დასკვნისა და სარეკომენდაციო წერილის დადგენილ ვადებში წარუდგენლობას.